პორტატიული ნიტრატ-ტესტერი სასოფლო-სამეურნეო კვების პროდუქტებისათვის

ხელსაწყოს დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო კვების პროდუქტებში სწრაფად გაზომოს ნიტრატ-იონების შემცველობის ციფრული ექვივალენტი და აღმოაჩინოს ნორმირებული მნიშვნელობიდან a% და b% იანი (b>a) გადახრის ფაქტი - შესაბამისად, ყვითელი და წითელი ფერის ნათების გზით, ხოლო თუ გაზომილი პარამეტრი ნორმაშია, ტესტის დასრულებას მოჰყვება მწვანე ფერის ნათება.

შემოთავაზებული პორტატიული ხელსაწყო კონსტრუქციულად კომპაქტურია, მოსახმარად იოლი და ეკონომიურია, მისი გამოყენება შესაძლებელია ისეთ სფეროებში, როგორიცაა კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია და სხვა.